N1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კალანდარიშვილის მოსახლეობასთან ანგარიშის ჩაბარების მიზნით გამართული შეხვედრის ოქმი.

შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 29 ოქტომბერს, გენო ადამიას ქუჩის მოსახლეობასთან.
შეხვედრა დაიწყო 15:00 საათზე , დამთავრდა 16:15 საათზე.
შეხვედრას ესწრებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს წევრები, კაპიტონ ტორჩინავა, ზაზა ყურაშვილი და დავით ოდიშარია.
შეხვედრას უძღვებოდა ირაკლი კალანდარიშვილი.

დღის წესრიგი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კალანდარიშვილის 2025 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

მომხსენებელი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კალანდარიშვილი.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ როგორც საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა მნიშვნელოვანი და საკეთილდღეო საკითხების განხილვა-დაგეგმვაში.

საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვუჭერდი და ვუჭერ მხარს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ მნიშვნელოვან სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტს.

საკრებულოში ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიას მივეცით თანხმობა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე, დავამტკიცეთ სენაკის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა, თამხმობა მივეცით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე, დავამტკიცეთ სენკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, მოვისმინეთ და შევაფასეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა, ცვლილება შევიტანეთ, „სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამიდან" დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 თებერვლის №10 დადგენილებაში, თანხმობა მივეცით სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნასა და მისი დებულების დამტკიცება და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების

(რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის N 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, მოვისმინეთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2025 წელს პირველი და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, მხარი დავუჭირეთ სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოადგილის და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცებას.

მე როგორც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კალანდარიშვილი აქტიურად ვმონაწილეობდი, მუნიციპალიტეტისათვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განვილვა-განხორციელებაში.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.